დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 15.01.2026 № 8 ბრძანებით

მოდიფიცირებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 26.02.2026 № 62 ბრძანებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ზუმბაძე
საკონტაქტო ინფორმაცია: T: 0322 20 54 24
e-mail: info.rtc.2016@gmail.com

თბილისი
2026 წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი ; Locomotive and Multiple Unit Maintenance and Repair
2. **სარეგისტრაციო ნომერი** - 07.16.1
1. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტში ; Secondary Vocational Qualification in Locomotive and Multiple Unit Maintenance and Repair
3. **მიზანი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.
4. **კვალიფიკაციის დონე**

   ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე 4

5. **კლასიფიკაციის აღწერა**

   5.1 ISCED კოდი და აღწერა: 0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები - *შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მათ შორის, დედამიწაზე მოძრავი მანქანები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საფრენი აპარატები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, შენარჩუნებას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას*

   5.2 ISCO კოდი: 7222 - ზეინკლები და მონათესავე სფეროს მუშები

   5.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 33.17.0 - სხვა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება;

6. **დასაქმების შესაძლებლობები** - ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურების და რემონტის ზეინკალს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის სალოკომოტივო დეპოებში, ტექნიკური მომსახურების პუნქტებში, მეტროპოლიტენში, ლოკომოტივების მშენებელ და რემონტის ქარხნებში.
7. **დაშვების წინაპირობა**

   8.1 სრული ზოგადი განათლება;

8.2 საბაზო ზოგადი განათლება - *იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;*

8. **სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში
2. გაიანგარიშოს ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები
3. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას
4. შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები.
5. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილი
6. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის წევის ძრავა და დამხმარე მანქანები
7. შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ–სამუხრუჭე მოწყობილობების კვების სისტემა
8. შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ–სამუხრუჭე სისტემა
9. შეამოწმოს/შეაკეთოს სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობები
10. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურა
11. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურა
12. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავა და ჰიდრომექანიკური რედუქტორი
13. შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის ძირითადი აგრეგატები და დიზელ–გენერატორი
14. გამოიყენოს მაღალი და დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემები.

9. **სწავლის შედეგების დეტალური აღწერა**

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე	*უცხო ენაზე*	*მათემატიკური უნარ-ჩვევები და*	*ციფრული*	*დამოუკიდებლად*	*პიროვნებათშორისი*	*მეწარმეობა*	*კულტურული*
ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების შემოწმება შეკეთება	• შლის ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების დაზიანებულ კვანძს; • ამოწმებს წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების ჭანჭიკების შეერთების მდგრადობას; • ანაცვლებს წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების დაზიანებულ კვანძის დეტალს; • ასრულებს მოძრავი შემადგელობის წევის ძრავასა და დამხმარე მანქანების საკისარების გაპოხავას;	• იცის ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების დაზიანებული კვანძის დაშლა; • იცის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების ჭანჭიკების შეერთების მდგრადობის შეფასება; • იცის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების დაზიანებული კვანძის დეტალების ჩანაცვლება; • იცის მოძრავი შემადგელობის წევის ძრავასა და დამხმარე	✓		✓		✓			

	• შეკეთების შემდეგ გამოცდის წევის ძრავას და დამხმარე მანქანებს.	მანქანების საკისარების გაპოხავა; • იცის შეკეთების შემდეგ წევის ძრავას და დამხმარე მანქანების გამოცდა.								
სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	• იცავს (პირადი და სამუშაო ადგილის) სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს; • იცავს შრომის დაცვის უსაფრთხოების ნორმებს; • იცავს გარემოს დაცვის ნორმებს; • იცავს სახანძრო უსართხოების ნორმებს; • იცავს პროფესიულ ეთიკას. • უბედური და ტრამვატიული შემთხვევისას, თავის კომპეტენციის ფარგლებში დაზარებულს გაუცევს პირველა სამედიცინო დახმარებას	იცის: • ექიმის მოსვლამდე თავის კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გზები და შესაძლებლობები; • ვის უნდა მიმართოს უბედური შემთხვევის დროს; • პირადი ჰიგიენის ნორმები; • სანიტარიული ნორმების მოთხოვნები: • სამუშაო გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები; • შრომითი უსაფთხოების წესები; • გარემოს დაცვის ნორმები; • სამუშაოს ნარჩენების მოწესრიგების წესები; • ზიანის შესახებ, რომელიც ადგება გარემოს კონკრეტული სამუშაოს შესრულების შემდეგ; • მოძრავი შემადგენლობის ოპერატიულ-ტექნიკური დახასიათებები; • ხანძრის გავრცელების და ქრობის თავისებურებანი მოძრავ შემადგენლობაზე; • ხანძრის ქრობის ხერხები და საშუალებები;	✓		✓		✓			

		• უსაფრთხოების ტექნიკის წესები; • პროფესიული ეთიკის კოდექსი; • ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა კოლეგებთან ურთიერთობისას; საკუთარი პროფესიის მნიშვნელობა.								
ელექტრომოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის შემოწმება/შეკეთება	• ამოწმებს/შეაკეთებს ურიკას; • ამოწმებს ურიკათა შორის შეერთებებს; • ამოწმებს ძარას, ძარას საყრდენებს, კრონშტეინების და სააკვნე ჩამოკიდების დეტალებსა და ღეროებს; • ამოწმებს ფრიქციულ აპარატებს, ავტოგადასაბმელებს და გზის სამწმენდის მოწყობილობას; • ამოწმებს განტვირთვის საწინააღმდეგო მოწყობილობებს; • ამოწმებს/შეაკეთებს წევის ძრავს, და დამხმარე მანქანებს (მოტორვინტილატორს, მოტორგენერატორს და მოტორკომპრესორს);	იცის: • ურიკის შემადგენელი კვანძები; • მოძრავი შემადგენლობის მუშაობის ძირითადი პრინციპები (ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები) • ურიკათაშორისო კვანძები; • საზომი ხელსაწყოების დანიშნულება და გამოყენების წესები; • ურიკათაშორისო შეერთებების (სფეროსებური კავშირი) ცვეთის დასაშვები ზომები; • ძარას საყრდენების, კრონშტეინის და სააკვნე ჩამოკიდების დეტალებისა და ღეროების დანიშნულება; • აღნიშნული კვანძების მუშაობის ძირითადი პრინციპები (ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები); • ფრიქციული აპარატების, ავტოგადასაბმელის და გზის	✓		✓		✓			

	• აბარებს ხელმძღვანელს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.	მწმენდი მოწყობილობის დანიშნულება; • აღნიშნული კვანძების მუშაობის ძირითადი პრინციპები (ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები); • დამწოლი მოწყობილობის დანიშნულება; • დამწოლი მოწყობილობის მუშაობის ძირითადი პრინციპები (ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები); • წევის ძრავის, მოტორვინტილატორის, მოტორგენერატორის და მოტორკომპრესორის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • წევის ძრავის, მოტორვინტილატორის, მოტორგენერატორის და მოტორკომპრესორის შემოწმებისა და შეკეთების ძირითადი პრინციპები (ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები); • ეფექტიანი კომუნიკაციის ხერხები; • სამუშაოს უსაფრთხოების წესები; • პროფესიული ეთიკის ნორმები;								

		თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა.								
ელექტრომოძრავი შემადგენლობის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობების კვების სისტემის შემოწმება შეკეთება	• აწარმოებს პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის კვების სისტემის ტექნიკურ მომსახურებას ან მიმდინარე შეკეთებას; • შლის მოძრავი შემადგელობის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის კვების სისტემას; • ახდენს დაზიანებული კვანძების დეტალების შეკეთებას ან ჩანაცვლებას; • აღმოფხვრის და არეგულირებს მოძრავი შემადგელობის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის კვების სისტემის ცალკეული კვანძებისა • და დეტალების აღმოჩენილ დეფექტს; • ახდენს პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის კვების სისტემის მონტაჟს; • ახორციელებს შეკეთებული მოწყობილობების რემონტის შემდგომ გამოცდას; • აბარებს შესრულებულ სამუშაოს დადგენილი წესით	• იცის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის კვების სისტემის ტექნიკური მომსახურება და მიმდინარე შეკეთება; • იცის მოძრავი შემადგელობის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის კვების სისტემის დაშლა; • იცის დაზიანებული კვანძების დეტალების შეკეთებს ან ჩანაცვლება; • იცის მოძრავი შემადგელობის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის კვების სისტემის ცალკეული კვანძებისა და დეტალების აღმოჩენილი დეფექტის აღმოფხვრა და დარეგულირება; • იცის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობის კვების სისტემის მონტაჟი; • იცის შეკეთებული მოწყობილობების რემონტის შემდგომი გამოცდის ხერხები; • იცის შესრულებული სამუშაოს დადგენილი წესით შესაბამისად საამქროს ოსტატისთვის ჩაბარება.	✓		✓		✓			

	შესაბამისად საამქროს ოსტატს.									
ელექტრომოძრავი შემადგენლობის პნევმატიკურ-სამუხრუჭო სისტემის შემოწმება/შეკეთება	• ამოწმებს/შეაკეთებს კომპრესორს, ფილტრის და უკუსარქველის გამტარიანობას; • ამოწმებს დამხმარე მუხრუჭის ,მემანქანის ,ორმაგი წევის ონქანებს, სამუხრუჭო, კვების და სხვა სისტემების მილებსდა ონკანებს; • მუხრუჭების მაბლოკირებელ მოწყობილობას • დაზიანების შემთხვევაში ცვლის მანომეტრებს; • ამოწმებს/შეაკეთებს მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის ხელსაწყოებს და სიჩქარის საზომს, ელექტროპნევმატიკურ სარქველს • ამოწმებს მთავარ და მარაგი სამუხრუჭო რეზერვუარებს, ჰაერგამანაწილებლებს და სამუხრუჭო ცილინდრებს, სხვადასვა რედუქტორებს,რელეებს, ონკანებს,	იცის: • კომპრესორის კონსტრუქცია, მარკები და დასახელებები; • კომპრესორის დეტალების დაზიანებები და ცვეთის დასაშვები ზომები; • მემანქანის დამხმარე მუხრუჭის და სამატარებლო ონკანების კონსტრუქცია და დეტალების ცვეთა; • ონკანის გასინჯვის და მოძრავ შემადგენლობაზე დაწესებული ჰაერის ნორმები; • მუხრუეჭბის მაბლოკირებელი მოწყობილების და ორმაგი წევის ონკანების დანიშნულება; • ჩიბუხის და ორთაწევის ონკანების დაზიანებები; • მანომეტრის ვადების და რევიზიის ჩატარების დაწესებული ნორმები; • ალსნ–ის და მოძრაობის უსაფრთხოების მოწყობილობების დანიშნულება, გასინჯვა მისი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით; • სამუხრუჭო რეზერვუარების, ჰაერგამანაწილებლის და სამუხრუჭო ცილინდრის	✓		✓		✓			

	სახელურებს,შემაერთებელ სახელოებს; • აბარებს ხელმძღვანელს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.	დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • ჰაერგამანაწილებლის მუშაობის და სარეჟიმო გადამრთველის მდგომარეობები; • სამუხრუჭო ცილინდრიდან მწევარას გამოსვლის დასაშვები ნორმები; • სამუშაოს უსაფრთხოების წესები; • პროფესიული ეთიკის ნორმები; • თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა.								
ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	• განსაზღვრავს სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შემოწმებისათვის საჭირო მზომ ხელსაწყოებს, დანადგარებს, სამარჯვებს და სტენდებს; • ანაცვლაებს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული დაზიანებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების კვანძებში ვარგისიანი დეტალებით; • არჩევს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და	• იცის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შემოწმებისათვის საჭირო მზომი ხელსაწყოები, დანადგარები, სამარჯვები და სტენდები; • იცის ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული დაზიანებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების კვანძებში ვარგისიანი დეტალებით ჩანაცვლება; • იცის ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების	✓		✓		✓			

	სხვა მოწყობილობების შეკეთებისთვის საჭირო ხელსაწყოებს, დანადგარებს და სამარჯვებს; • ახორციელებს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შეზეთვა-გაპოხვას; • ახორციელებს შეკეთებული მოწყობილობების რემონტის შემდგომ გამოცდას და ლოკომოტივზე მონტაჟს; • შლის ელექტრომოძრავი შემადგენლობის ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციისა და ავტოსდექის კვანძს ან დეტალს; • შეაკეთებს ან ჩაანაცვლებს ელექტრომოძრავი შემადგენლობის ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციისა და ავტოსდექის მოწყობილობების კვანძს ან დეტალს.	შეკეთებისთვის საჭირო ხელსაწყოების, დანადგარების და სამარჯვების შერჩევა; • იცის ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შეზეთვა-გაპოხვა; • იცის შეკეთებული მოწყობილობების რემონტის შემდგომი გამოცდა და ლოკომოტივზე მონტაჟი; • იცის ელექტრომოძრავი შემადგენლობის ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციისა და ავტოსდექის კვანძის ან დეტალის დაშლა; • იცის ელექტრომოძრავი შემადგენლობის ავტომატური სალოკომოტივო სიგნალიზაციისა და ავტოსდექის მოწყობილობების კვანძის და დეტალის შეკეთება ან ჩანაცვლება.								
ელექტრომოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	• ამოწმებს/შეაკეთებს სწრაფმოქმედი ამომრთველებს და	იცის: • სწრაფმოქმედი ამომრთველის დანიშნულება და კონსტრუქცია;	✓		✓		✓			

	სწრაფმოკმედი კონაქტორებს; • ამოწმებს/შეაკეთებს ელექტრომაგნიტურ, ელექტროპნევმატიკურ და დამიწების კონტაქტორებს; • ამოწმებს/შეაკეთებს ჯგუფურ გადამრთველებს, რევერსორებს, სამუხრუჭო და წევის ძრავის და ვენტილატორის გადამრთველებს; • ამოწმებს/შეაკეთებს სააკუმლატორო ბატარეას, მართვის დაფას • გამშვები და დამხმარე მანქანების რეზისტორებს;, • ელექტროღუმელებს; • ამოწმებს/შეაკეთებს მემანქანის კონტროლერს; • ამოწმებს/შეაკეთებს სხვადასხვა რელეებს,ღილაკურ გადამრთველებს; • განათების და დაბალი ძაბვის მოწყობილობებს და გაყვანილობას; • ამოწმებს/შეაკეთებს სახურავის მოწყობილობებს(მაღალი ძაბვის გამთიშებს,დროსელებს,განმუხთველს,	• იცის სწრაფმოქმედი ამომრთველის იზოლაციის და დეტალების ცვეთის ნორმები; • იცის კონტაქტორების დანიშნულება და კონსტრუქცია; • იცის კონტაქტორების იზოლაციის და დეტალების ცვეთის ნორმები; • იცის ჯგუფური გადამრთველის, სამუხრუჭო და წევის ძრავას კონსტრუქცია და დანიშნულება; • იცის ჯგუფური გადამრთველის, სამუხრუჭო და წევის ძრავას ცვეთის ნორმები; • იცის სააკუმლატორო ქილების დანიშნულება; • იცის სააკუმლატორო ქილების მომსახურების და ელექტროლიტის ხსნართან მუშაობის უსაფრთხოების წესები; • იცის გამშვები და დამხმარე მანქანების რეზისტორების დანიშნულება დაზიანება; • იცის მემანქანის კონტროლერის დანიშნულება და დაზიანებები; • იცის სახურავის მოწყობილობის და დენმიმღების კონსტრუქცია; • იცის დაზიანებები და ცვეთის ნორმები;								

	იზოლატორებს,სალტეებს) და დენმიმღებს; • აბარებს ხელმძღვანელს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.	• იცის ეფექტური კომუნიკაციის მეტოდები; • იცის სამუშაოს უსაფრთხოების წესები; • იცის პროფესიული ეთიკის ნორმები; • იცის თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა.								
ელექტრომოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	• ამოწმებს/შეაკეთებს სწრაფმოქმედი ამომრთველებს და სწრაფმოკმედი კონაქტორებს; • ამოწმებს/შეაკეთებს ელექტრომაგნიტურ, ელექტროპნევმატიკურ და დამიწების კონტაქტორებს; • ამოწმებს/შეაკეთებს ჯგუფურ გადამრთველებს, რევერსორებს, სამუხრუჭო და წევის ძრავის და ვენტილატორის გადამრთველებს; • ამოწმებს/შეაკეთებს სააკუმლატორო ბატარეას, მართვის დაფას • გამშვები და დამხმარე მანქანების რეზისტორებს;, • ელექტროღუმელებს; • ამოწმებს/შეაკეთებს მემანქანის კონტროლერს; • ამოწმებს/შეაკეთებს სხვადასხვა	იცის: • სწრაფმოქმედი ამომრთველის დანიშნულება და კონსტრუქცია; • სწრაფმოქმედი ამომრთველის იზოლაციის და დეტალების ცვეთის ნორმები; • კონტაქტორების დანიშნულება და კონსტრუქცია; • კონტაქტორების იზოლაციის და დეტალების ცვეთის ნორმები; • ჯგუფური გადამრთველის, სამუხრუჭო და წევის ძრავას კონსტრუქცია და დანიშნულება; • ჯგუფური გადამრთველის, სამუხრუჭო და წევის ძრავას ცვეთის ნორმები; • სააკუმლატორო ქილების დანიშნულება; • სააკუმლატორო ქილების მომსახურების და ელექტროლიტის ხსნართან	✓		✓		✓			

	რელეებს,ღილაკურ გადამრთველებს; • განათების და დაბალი ძაბვის მოწყობილობებს და გაყვანილობას; • ამოწმებს/შეაკეთებს სახურავის მოწყობილობებს(მაღალი ძაბვის გამთიშებს,დროსელებს,განმუხთველს, იზოლატორებს,სალტეებს) და დენმიმღებს; • აბარებს ხელმძღვანელს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.	მუშაობის უსაფრთხოების წესები; • გამშვები და დამხმარე მანქანების რეზისტორების დანიშნულება დაზიანება; • მემანქანის კონტროლერის დანიშნულება და დაზიანებები; • სახურავის მოწყობილობის და დენმიმღების კონსტრუქცია; • დაზიანებები და ცვეთის ნორმები; • ეფექტური კომუნიკაციის მეტოდები; • სამუშაოს უსაფრთხოების წესები; • პროფესიული ეთიკის ნორმები; • თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა.								
მაღალი, დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემების გამართვა	• განმარტავს მაღალი, დაბალი ძაბვის სიმბოლოებს და მათ მნიშვნელობებს; • კითხულობს მაღალი და დაბალი ძაბვის სქემას; • დაბალი და მაღალი ძაბვის სქემების შესაბამისად აჩვენებს კვანძებს მოძრავ შემადგენლობაზე; • მაღალი, დაბალი ძაბვის შესაბამისად აღმოაჩენს დაზიანების ადგილს;	• იცის მაღალი, დაბალი ძაბვის სიმბოლოები და მათ მნიშვნელობები; • იცის მაღალი და დაბალი ძაბვის სქემის წაკითხვა; • იცის დაბალი და მაღალი ძაბვის სქემების შესაბამისად კვანძების ჩვენება მოძრავ შემადგენლობაზე; • იცის მაღალი და დაბალი ძაბვის შესაბამისად დაზიანების ადგილის აღმოჩენა;	✓		✓		✓			

	• მაღალი, დაბალი ძაბვის შესაბამისად მართავს დაზიანებას; • მაღალი, დაბალი ძაბვის შესაბამისად ამოწმებს წრედის მთლიანობას.	• იცის მაღალი და დაბალი ძაბვის შესაბამისად დაზიანების მართვა; • იცის მაღალი და დაბალი ძაბვის შესაბამისად წრედის მთლიანობის შემოწმება.								
თბომავლის დიზელის ძრავის, ჰიდრომექანიკური რედუქტორის და ძირითადი კვანძების შემოწმება/შეკეთება	• ამოწმებს/შეაკეთებს დიზელს; • ამოწმებს/შეაკეთებს ტურბო ჰაერმბერს; • ამოწმებს/შეაკეთებს ბრუნთა რიცხვის რეგულატორს; • ამოწმებს/შეაკეთებს ჰიდრომექანიკურ რედუქტორს; • ამოწმებს/შეაკეთებს საწვავის,ზეთის სისტემას და ავზს; • ამოწმებს/შეაკეთებს წყლის და გაგრილების სისტემას; • ამოწმებს/შეაკეთებს, ორმანქანიან აგრეგატს; • აბარებს ხელმძღვანელს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.	• იცის დიზელის მუშაობის პრინციპი და კონსტრუქცია; • იცის დიზელის კვანძების ცვეთის დასაშვები ნორმები; • იცის ტურბოჰაერმბერის მოწყობილობა; • იცის ტურბოჰაერმბერის დაზიანებები; • იცის ბრუნთარიცხვის რეგულატორის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის ბრუნთარიცხვის რეგულატორის დაზიანებები და ცვეთის დასაშვები ნორმები; • იცის ჰიდრორედუქტორის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის მაცივრის სექციების, წყლის ტუბოების მუშაობის პრინციპი და დანიშნულება; • იცის წყლის სისტემის შეკეთების და შემოწმების ტექნოლოგიური პროცესი; • იცის ორმანქანიანი აგრეგატის შეკეთების ძირითადი პრინციპები, ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები; • იცის სამუშაოს უსაფრთხოების წესები;	✓		✓		✓			

		• იცის პროფესიული ეთიკის ნორმები; • იცის თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა.								
თბომავლის მექანიკური ნაწილის, წევის ძრავის და პნევმატიკური–სამუხრუჭო სისტემის შემოწმება/შეკეთება	• ამოწმებს/შეაკეთებს დიზელს; • ამოწმებს/შეაკეთებს ტურბოჰაერმბერს; • ამოწმებს/შეაკეთებს ბრუნთა რიცხვის რეგულატორს; • ამოწმებს/შეაკეთებს ჰიდრომექანიკურ რედუქტორს; • ამოწმებს/შეაკეთებს საწვავის,ზეთის სისტემას და ავზს; • ამოწმებს/შეაკეთებს წყლის და გაგრილების სისტემას; • ამოწმებს/შეაკეთებს, ორმანქანიან აგრეგატს; • აბარებს ხელმძღვანელს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ.	• იცის დიზელის მუშაობის პრინციპი და კონსტრუქცია; • იცის დიზელის კვანძების ცვეთის დასაშვები ნორმები; • იცის ტურბოჰაერმბერის მოწყობილობა; • იცის ტურბოჰაერმბერის დაზიანებები; • იცის ბრუნთარიცხვის რეგულატორის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის ბრუნთარიცხვის რეგულატორის დაზიანებები და ცვეთის დასაშვები ნორმები; • იცის ჰიდრორედუქტორის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; • იცის მაცივრის სექციების, წყლის ტუბოების მუშაობის პრინციპი და დანიშნულება; • იცის წყლის სისტემის შეკეთების და შემოწმების ტექნოლოგიური პროცესი; • იცის ორმანქანიანი აგრეგატის შეკეთების ძირითადი პრინციპები, ტექნოლოგიური პროცესი და ინსტრუქციები; • იცის სამუშაოს უსაფრთხოების წესები;	✓		✓		✓			

		• იცის პროფესიული ეთიკის ნორმები; • იცის თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაო აღწერილობა.								

10. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 5 ზოგად მოდულს ჯამური 13 კრედიტის მოცულობით და 18 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 90 კრედიტის დაგროვება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 17თვე [1]
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 22 თვე

[1] **პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.**

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	**კრედ.**
ქართული ენა A2	**15**
ქართული ენა B1	**15**
	30

ზოგადი მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2
2.	უცხოური ენა	3
3.	მეწარმეობა	4
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება	2
		13

პროფესიული მოდულები		
ბლოკი 1		
5.	საინჟინრო ხაზვა	5
6.	მეტროლოგია	3
7.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
8.	რკინიგზის ზოგადი კურსი	4
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
10.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
11.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
ბლოკი 2		
12.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7
13.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების შემოწმება შეკეთება	6
14.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის შემოწმება/შეკეთება	9
15.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობების კვების სისტემის შემოწმება შეკეთება	9
16.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის პნევმატიკურ-სამუხრუჭო სისტემის შემოწმება/შეკეთება	8
17.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	8
18.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	6
19.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	
20.	მაღალი, დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემების გამართვა	
21.	თბომავლის დიზელის ძრავის, ჰიდრომექანიკური რედუქტორის და ძირითადი კვანძების შემოწმება/შეკეთება	6
22.	თბომავლის მექანიკური ნაწილის, წევის ძრავის და პნევმატიკური–სამუხრუჭო სისტემის შემოწმება/შეკეთება	4
		77
სულ		**90**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 18 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 114 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 144 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 26 თვე

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	**კრედიტი**
01 ქართული ენა A2	**15**
02 ქართული ენა B1	**15**
	30

ინტეგრირებული მოდულები

მოდულის დასახელება		**კრედიტი**
1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8
2.	მათემატიკური წიგნიერება	7
3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	6
4.	მოქალაქეობა	6
5.	სპორტი	2
6.	ესთეტიკა	1
		30

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
7.	უცხოური ენა	3
8.	მეწარმეობა	4
		7

პროფესიული მოდულები		
ბლოკი 1		
5.	საინჟინრო ხაზვა	5
6.	მეტროლოგია	3
7.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
8.	რკინიგზის ზოგადი კურსი	4
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
10.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
11.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
ბლოკი 2		
12.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7
13.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების შემოწმება შეკეთება	6
14.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის შემოწმება/შეკეთება	9
15.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობების კვების სისტემის შემოწმება შეკეთება	9
16.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის პნევმატიკურ-სამუხრუჭო სისტემის შემოწმება/შეკეთება	8
17.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	8
18.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	6
19.	ელექტრომოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	
20.	მაღალი, დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემების გამართვა	
21.	თბომავლის დიზელის ძრავის, ჰიდრომექანიკური რედუქტორის და ძირითადი კვანძების შემოწმება/შეკეთება	6
22.	თბომავლის მექანიკური ნაწილის, წევის ძრავის და პნევმატიკური–სამუხრუჭო სისტემის შემოწმება/შეკეთება	4
		77
სულ		**114**

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები*	2		
უცხოური ენა	3		დისტანციური
მეწარმეობა	4		
რაოდენობრივი წიგნიერება*	2		დისტანციური
ინფორმაციული წიგნიერება*	2		დისტანციური
პროფესიული მოდულები			
ბლოკი 1			
საინჟინრო ხაზვა	5		
მეტროლოგია	3		
გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1		
რკინიგზის ზოგადი კურსი	4		დისტანციური
ზოგადი ელექტროტექნიკა	3		
საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2		
მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3		
ბლოკი 2			

სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7		დისტანციური
ელექტრომოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების შემოწმება შეკეთება	6	✓	
ელექტრომოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის შემოწმება/შეკეთება	6	✓	
ელექტრომოძრავი შემადგენლობის პნევმატიკურ–სამუხრუჭო მოწყობილობების კვების სისტემის შემოწმება შეკეთება	5	✓	
ელექტრომოძრავი შემადგენლობის პნევმატიკურ-სამუხრუჭო სისტემის შემოწმება/შეკეთება	6	✓	
ელექტრომოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	5	✓	
ელექტრომოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	5	✓	
ელექტრომოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	4	✓	
მაღალი, დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემების გამართვა	2	✓	
თბომავლის დიზელის ძრავის, ჰიდრომექანიკური რედუქტორის და ძირითადი კვანძების შემოწმება/შეკეთება	6	✓	
თბომავლის მექანიკური ნაწილის, წევის ძრავის და პნევმატიკური–სამუხრუჭო სისტემის შემოწმება/შეკეთება	4	✓	
სულ კრედიტები	**90**		

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 90 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 120 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ლოკომოტივის და ძრავავაგონიანი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურება და რემონტი ; Locomotive and Multiple Unit Maintenance and Repair (სარეგისტრაციო ნომერი - 07.16.1) მიხედვით.

15. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის" ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები :

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ადაპტირებული მოდულები;
- სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;

პროგრამის ხელმძღვანელი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის — ნიკოლოზ ზუმბაძე

ხარისხის მართვის მენეჯერი — შოთა მარგიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორი — მანანა მოისწრაფიშვილი